შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

2024

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N38

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“

საკონტაქტო ტელეფონები: +995 514408840 /514407740

ვებ-გვერდი: www.bntu.edu.ge

ელ-ფოსტა: info@bntu.edu.ge

რექტორი: პარმენ ხვედელიძე, პროფესორი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი: ლალი ხვედელიძე

პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი: ლალი ხვედელიძე

დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი: ია ვერულიძე

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ისტორია

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი” (შემდგომში - ბნსუ) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამეწარმეო იურიდიულ პირს, დაფუძნებულია კერძო სამართლის იური-დიული პირის სამართლებრივი ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგე-ნილი წესით მინიჭებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - სასწავლო უნივერსიტეტის - სტატუსი დამოქმედებს როგორც ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების და მისი წესდების შესაბამისად

ისტორია და დღევანდელობა

1999 წელს დაარსდა „ბათუმის საზღვაო კოლეჯი - მეზღვაურთა სკოლა“. რომლის ბაზაზე 2002 წელს ამოქმედდა საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი „მერკური“, რომელიც ემსახურება მეზღვაურთა მომზადება-გადამზადებასა და სერტიფიცი-რებას. 2007 – „ბათუმის საზღვაო კოლეჯი - მეზღვაურთა სკოლის“ ბაზაზე დაფუძნდა ბათუმის ნავიგაციის ინსტიტუტი - საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი“, შემდგომში (2008 წ.) მას ეწოდა „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - ბნსუ) და 2013 წელს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (№04, 15.02.2013) მიენიჭა ავტორიზაცია (საგანმანათლებლო საქნიაბობის უფლება).

უნივერსიტეტის ღირებულებებია

- მრავალფეროვნება, თანასწორობა და ინკლუზია;
- ერთიანობა, არჩევანის, გადაწყვეტილების მიღების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
- პროფესიონალიზმი, აკადემიური თავისუფლება, პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება;
- საზოგადოებაში ჩართულობა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- ინოვაციებისადმი მზაობა.

უნივერსიტეტის მისია

უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება მაგისტრანტებისთვის/ სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე, რომელიც უნვითარებს მათ საჭირო ცოდნას და უნარებს, მუდმივად განახლებად და ცვალებად ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე, სავაჭრო საზღვაო და ლოგისტიკურ დარგში წარმატებული კარიერის მისაღწევად.

ბნსუ აკადემიური/პროფესიული/სასერტიფიკატო ხარისხიანი პროგრამების და კვლევითი პროექტების განხორციელებით , ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებით, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებით და უსაფრთხო, თანამედროვე აკადემიური გარემოს შექმნით აღწევს კურსდამთავრებულთა პასუხისმგებლობის, დისციპლინის, კეთილსინდისიერებისა და ლიდერობის მაღალ დონეს.

უნივერსიტეტის ხედვა

უნივერსიტეტის ხედვა ემყარება სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ ბნსუ დარჩეს დინამიურ და მომავალზე ორიენტირებულ ინსტიტუციად და დარგობრივ სივრცეში აღიარებულ ბრენდად, რომელიც განაპირობებს პოზიტიურ ცვლილებებს, მხარს უჭერს ინსტიტუციურ მდგრადობას, ოპერატიულ ეფექტურობას და სწავლა-სწავლების ხარისხში მუდმივ გაუმჯობესებას.

ჩვენი მიღწევები

ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტთან (ISO) შესაბამისობა.

ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი არის საიმედოობის, ბნსუ-ში მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის და მისი მუდმივი გაუმჯობესების, პერსონალის კომპეტენტუ რობის და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის გარანტი. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მიღებული შესაბამისობის სერტიფიკატები:

- Certificate of Quality Management System Conformity (ISO): ISO 9001:1994; ISO 9001:2000 (2004, 2008); ISO 9001:2008 (2009, 2011, 2014); ISO 9001:2015
- Internation Certification Network: IQNet 2000 (2004, 2008 წ.); IQNet 2008 (2009, 2011, 2014 წ.); IQNet 2015 (2017 წ.).

ბნსუ-ს, როგორც საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულების, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა (External Audit of BNTU by International Maritime Authority):

- Russian Register Certificatioon System - Certificate of Quality Management System Conformity (ISO 9001:1994, ISO 9001:2000, ISO 9001:2008, ISO 9001:2015);
- European Maritime Safety Agency ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტო (EMSA) შემოწმება (2013)

ბნსუ-ს, როგორც საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულების, საქართველოში მიღებული შესაბამისობის დადასტურება

ბნსუ გადის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტს, გააჩნია აღიარება როგორც დარგობრივ საზღვაო საგანმანათლებლო დაწესებულებას, საქართველოს ეკონომოკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაცემული საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულების აღიარების სერტიფიკატი; საქართველოს ეკონომოკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ყოველწლიური აუდიტის შედეგები.

საერთაშორისო დარგობრივ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი - სამეცნიერო ჟურნალის თანადამფუძნებელი

2016 წლიდან ბნსუ არის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის „ინოვაციურიეკონომიკადამართვა'' თანადამფუძლებელი.

საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა

- საზღვაო ლექტორთა საერთაშორისო ასოციაციაში (International Maritime Lectures Association – IMLA);
- საერთაშორისო საზღვაო უნიერსიტეტების ასოციაციას (International Association of Maritime Universities);
- შავი ზღვის საზღვაო უნივერსიტეტბის ასოციაციას (Black Sea Association of Maritime Institutes)
- The Nautical Institute;
- BALKAN AND BLACK SEA COMMISSION;
- ASIA MARITIME AND FISHERIES UNIVERSITIES FORUM.
- საზღვაო ეკონომისტთა საერთაშორისო ასოციაციაში (International Association of Maritime Economist).

ჩვენი პარტნიორები

საგანმანათლებლო დაწესებულებები

- ადმირალ მაკაროვის სახელობის გემთმშენებლობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ნიკოლაევი, უკრაინა);
- The International Center of Academic Attestation and Mobility "British Department" (გაერთიანებული სამეფო, ქ. ლონდონი);
- Warsaw Management University (პოლონეთი, ვარშავა);
- Technical University of Kosice (სლოვაკეთი, ქ. კოშიცე);
- Czech Technical University in Prague (ჩეხეთი, ქ. პრაღა)
- University of Security Management in Kosice (სლოვაკეთი, ქ. კოშიცე);
- Odesa Institute of Trade and Economics of Kyiv National University of Trade and Economics (უკრაინა, ქ. ოდესა);
- International Scientific and Technical University (უკრაინა, კიევი);
- National Aviation University (უკრაინა, ქ. ოდესა);
- Ondokuz Mayis University (თურქეთი, ქ. სამსუნი)
- National University "Odessa Maritime Academy" (უკრაინა, ქ. ოდესა);
- Maritime University of SZCZECIN (პოლონეთი, ქ. შეცინი);
- International University of Kyrgyz Republic (ყირგიზეთი, ქ. ბიშკეკი);
- Nikola Vaptsarov Naval Academy (ბულგარეტი, ვარნა);
- Latvian Maritime Academy (ლატვია, ქ. რიგა);
- Klaipeda University (ლიეტუვა, ქ. კლაიპედა);
- Umiversity of Split (ხორვატია, ქ. სპლიტი);
- University of Zadar (ხორვატია, ქ. ზადარი);
- City of Glasgow College (გაერთიანებული სამეფო, ქ. გლაზგო);
- KEDGE Business School (საფრანგეთი, ქ. პარიზი);
- Italian Shipping Academy Foundaition (იტალია, ქ. გენუა);
- University of Rejika (ხორვატია, ქ. რეიკა)
- Stellenbosch University (სამხრეთ აფრიკა, სტელენბოში);
- Merchant Marine College of Shanghai Maritime University (ჩინეთი, ქ. ნინგბო);
- KEDGE Business School (საფრანგეთი, ქ. პარიზი);
- Istanbul Aydin University (თურქეთი, ქ. სტამბოლი);
- Arab Academy for Science Technology and Maritime Transport (ეგვიპტე, ქ. ალექსანდრია).

დარგობრივი ორგანიზაციები

- „Poseidon”;
- „Iberia Navigation +”;
- „Elseri”;
- „Internatonal Maritime Group”;

დამსაქმებელი პარტნიორები

ჩვენი პარტნიორი საკრუინგო კომპანიებია:

- “QUEENSWAY SERVICES”;
- შპს „სააგენტო პოსეიდონი";
- შპს „ინთერნეიშენალ მერითაიმ გრუფ";
- NAPA PROJECT LTD;
- BRIESE SHIFT MANAGEMENT LTD;
- Bernhard Schulte Shipmanagement;
- შპს „ჯეო ბრიჯ-კ";
- შპს „ელსერი";
- შპს „იბერიის ნავიგაცია +";
- შპს „იალქანი-s";
- შპს „გლობალ მარინ ქომპანი";
- შპს „ვალმარს ჯორჯია";
- შპს „ელვიქტორ ქრიუ მენეჯმენტ სერვის".

საერთაშორისო აღიარების სერტიფიკატები

- ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობის სერტიფიკატი ISO 9001:2015
- IAMU- საერთაშორისო უნივერსიტეტების ასოციაციის წევრი
- BSAMI-შავი ზღვის ქვეყნების საზღვაო ინსტიტუტების ასოციაცია
- ევროკომისიის გადაწყვეტილება

СИСТЕМА СЕРТИФИКАЦИИ РУССКОГО РЕГИСТРА
RUSSIAN REGISTER CERTIFICATION SYSTEM

CERTIFICATE

This is to certify that the Quality Management System of

"Batumi Navigational Teaching University" LLC
38, Tamar Mephe Ave., 6000, Batumi, Georgia

has been assessed and found to be in accordance with the requirements of

ISO 9001:2015

in respect of development of educational programs, technique of learning and carrying out training of vocational and high education, development and carrying out theoretical and practical training/retraining of marine transport specialists in accordance with the requirements of International and National Law

No: 23.0371.026
of 13th April, 2023

Management system certified since 2004

This certificate is valid until 13th March, 2026

A. Vladimirov
Director General of Certification Association "Russian Register"

The certificate covers only those sites of the company which are stated in this certificate. This certificate becomes invalid if conditions of certification are not fulfilled (http://www.rusregister.ru/doc/004.00-105.pdf).

Certification Association "Russian Register", 101 Kirskaya-Lermakova Ave., 190121, Saint-Petersburg, Russia

RUSSIAN REGISTER РУССКИЙ РЕГИСТР

01-056012



EUROPEAN COMMISSION

PRESS RELEASE

Brussels, 25 November 2013

Transport: Commission lifts ban on Georgian certified seafarers for EU vessels

On 22 November, the European Commission and Member States recognised efforts by Georgia to comply with international standards on training and certification for seafarers, thus effectively allowing seafarers with Georgian certificates again to work on EU vessels.

In November 2010, the European Commission withdrew the recognition of Georgian certificates of seafarers[1]. Among other problems, the administration did not monitor effectively the maritime schools and there was an extended problem with forged certificates, leading the Commission to conclude that Georgia did not comply with the requirements of the International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers.

In practice, seafarers without recognised certificates could not work onboard EU flagged ships. Those with valid endorsements could continue working onboard EU flagged ships only until the expiry of the 5 year validity of their endorsements.

After the withdrawal of recognition, the European Commission assisted Georgia to bring its system of training and certification of seafarers in line with the international standards. In this respect, Georgia benefited from several EU funded projects like SASEPOL[2] and TAIEX[3].

In September 2012, Cyprus requested the re-recognition of Georgian certificates. Following this request, the European Commission re-assessed the Georgian system of training and certification of seafarers. The assessment was based on the results of an inspection carried out by experts of the European Maritime Safety Agency in October 2012 and on the corrective measures submitted by the Georgian authorities.

The final outcome of the European Commission assessment shows that Georgia has taken the necessary measures to bring its system in line with the international standards. Among others, it has redrafted completely its legislation and has taken effective measures to prevent fraudulent certificates. Therefore, the European Commission put on the table a proposal for the re-recognition of Georgia which was supported by the EU Member States in a meeting on 22 November. Once this decision formally adopted, EU Member States, who wish so, may start endorsing Georgian certificates again.

[1] Commission Decision 2010/705/EU
[2] Development of common security management, maritime safety and ship pollution prevention for the Black sea and Caspian Sea.
[3] Technical Assistance and Information Exchange instrument

CERTIFICATE

This is to certify that

Batumi Navigation Teaching University

is a full member of the Black Sea Association of Maritime Institutions (BSAMI)

Mykhaylo V. Miyusov
Chairperson

Hisashi Yamamoto
Secretary General

Signed this on 25th day of June 2013

სარჩევი

ნაწილი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

1. საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური ..... 13 გვ.
2. გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური ..... 15 გვ.
3. საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა .....17 გვ.

ნაწილი 2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

4. საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა ....19 გვ.

ნაწილი 3. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა

5. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში .....20 გვ.

ნაწილი 4. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის სწავლების შესახებ

6. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების სწავლება მოდულური პროგრამების ფარგლებში ....27 გვ.

ნაწილი 1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

- საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური;
- სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური;
- საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა.



პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

- შპს „საქართველოს მეთევზეთა კავშირი 2015“;
- შპს „პალიასტომი 2004“;
- შპს თ/მ „ახტიარი“;
- შპს „საზღვაო ტექსერვისი“.
- შპს თ/მ „ვიქტორია“;
- შპს „მბმ” - გემი GOLDEN FISH
- გემი ‘’ILORI”
- შპს „ზღვის პროდუქტები” -გემი LAZIKA 1
- შპს ‘’GURAMI” - გემი LAZIKA
- შპს ‘’PALIASTOMI” - გემი PALIASTOMI
- გემი SCHS-1151
- შპს ‘’MADAI LTD” -გემი SEA TSITSINATELA
- გემი ‘’VICTORIA”

საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური;

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში / Basic Vocational Qualification in Ship Deck Operation.

პროგრამის მოცულობა: 92 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 2 300 საათი. აქედან: ზოგადი მოდულები 17 კრედიტის მოცულობით (425 სთ), პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 75 კრედიტის მოცულობით (1 875 სთ.) პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 64 (ქართულენოვანი სტუდენტებისათვის)/ 76 კვირას (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის), აქედან 6 თვე ეთმობა საწარმოო პრაქტიკას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- საბაზო განათლება.
- „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება);
- ასაკი - 16 წელი.

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:
პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიეცემა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და პრაქტიკის გავლის შესახებ ცნობები. შემდგომ მან უნდა გაიაროს სერტიფიცირება საჭირო სერტიფიკატების ასაღებად. მიღებული დოკუმენტების საფუძველზე აბარებს გამოცდას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში სამუშაო დიპლომის მისაღებად.

პირს, რომელსაც აქვს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მეზღვაურის სერტიფიცირების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და აღიარებული ნაოსნობის სტაჟის არსებობოს საფუძველზე, სამუშაო ლიცენზიის (კვალიფიკაციის სერტიფიკატის) მიღბის შემდეგ შეუძლია დასაქმდეს საზღვაო სავაჭრო, სამგზავრო, ნავსადგურის დამხმარე ფლოტის, თევზსაჭერ და სხვა დანიშნულების გემებზე გემბანის რიგითი მეზღვაურის პოზიციაზე, ასევე, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებისა და ექსპლუატაციის სფეროსთან დაკავშირებულ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებებში. აღნიშნული პროფესიისთვის დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდია: 8350

მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში

სწავლის შედეგებია:

- გემბანის მოწყობილობებისა და მექანიზმების უსაფრთხო ექსპლუატაციაში მონაწილეობა;
- უსაფრთხო სანავიგაციო ვახტაში მონაწილეობა;
- გემის საჭეს მართვა;
- გემმისაბმელ და საღუზე ოპერაციებში მონაწილეობა;
- გემზე არსებული სათავსების მოვლა-დასუფთავება;
- გემბანის მექანიზმების პროფილაქტიკურ-სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობა;
- სატაკელაჟო სამუშაოების შესრულება;
- გემზე სატვირთო ოპერაციებში მონაწილეობა;
- გემზე სამღებრო სამუშაოების შესრულება;
- გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

გემის სამანქანე განყოგილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: გემის სამანქანე განყოგილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში / Basic Vocational Qualification in Ship Engine Room Operation.

პროგრამის მოცულობა: 88 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 2 200 საათი. აქედან: ზოგადი მოდულები 17 კრედიტის მოცულობით (425 სთ), პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 71 კრედიტის მოცულობით (1 775 სთ.) პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 63 (ქართულენოვანი სტუდენტებისათვის) / 75 კვირას (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის), აქედან 6 თვე ეთმობა საწარმოო პრაქტიკას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- საბაზო განათლება.
- „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება);
- ასაკი - 16 წელი.

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიეცემა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და პრაქტიკის გავლის შესახებ ცნობები. შემდგომ მან უნდა გაიაროს სერტიფიცირება საჭირო სერტიფიკატების ასაღებად. მიღებული დოკუმენტების საფუძველზე აბარებს გამოცდას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში სამუშაო დიპლომის მისაღებად.

პირს, რომელსაც აქვს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში, „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მეზღვაურის სერტიფიცირების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა და აღიარებული ნაოსნობის სტაჟის არსებობოს საფუძველზე, სამუშაო ლიცენზიის (კვალიფიკაციის სერტიფიკატის) მიღბის შემდეგ - შეუძლია დასაქმდეს საზღვაო სავაჭრო, სამგზავრო, ნავსადგურის დამხმარე ფლოტის, თევზსაჭერ და სხვა დანიშნულების გემებზე სამანაქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პოზიციაზე. დასაქმება შესაძლებელია ასევე, საზღვაო ტრანსპორტის მომსახურებისა და ექსპლუატაციის სფეროსთან დაკავშირებულ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებებში. აღნიშნული პროფესიისთვის დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდია: 8350

მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში სწავლის შედეგებია:

- სამანქანე განყოფილების ქვაბების, მექანიზმების, დანადგარების სისტემების ტექნიკური მომსახურება;
- სამანქანე განყოფილების მექნიზმების რემონტი - შეკეთება;
- სამანქანე განყოფილების ვახტის წარმოება;
- სამღებრო სამუშაოების შესრულება;
- საწვავის მიღებისა და გადატუმბვის ოპერაციებში მონაწილეობა;
- ლიალურ და ბალასტურ წყლებთან დაკავშირებულ ოპერაციებში მონაწილეობა;
- სამუშაო გარემოსა და მარაგების მართვა;
- გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა

პროგრამის სახელწოდება: საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა.

მისანიჭებელი კვალიფიკაცი: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში (სარეგისტრაციო ნომერი 07313-პ).

პროგრამის მოცულობა: 52 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ), სულ 1300 სთ, აქედან ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის ზოგადი მოდულები 6 კრედიტის მოცულობით (150 სთ), საერთო ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 18 კრედიტის მოცულობით (450 სთ), ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის/დარგობრივი მოდულები - 28 კრედიტი (700 სთ). პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 42 (ქართულენოვანი სტუდენტებისათვის) / 54 კვირა (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება.

კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები:

ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პირი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს:

- ელექტრიკოსი;
- ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟე
- შენობის ელექტრიკოსი
- მომმარაგებელ-ელექტრიკოსი
- ელექტრო-მექანიკოსი
- ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟე
- განათების სისტემების მემონტაჟე
- ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟე
- დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟე
- ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟე
- ასფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟე
- მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟე

კურსდამთავრებული ასევე შეიძლება დასაქმდეს გემის ელექტრიკოსად დამატებითი მომზადების გავლის შემდეგ, „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ 1978 წლის საერთაშორისო კონვენციის წესის III/7 და საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ მუხლი 26 მოთხოვნების შესაბამისად.

მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

ელექტროობის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის სწავლის შედეგებია:

- ელექტროენერგეტიკის სფეროში გამოყენებული ხელსაწყოებისა და სამარჯვების გამოყენებით მარტივი ტექნიკური ამოცანების შესრულება მიცემული დავალების შესაბამისად.
- სარემონტო სამუშაოების წინ მოამზადოს ინსტრუმენტები, სამარჯვები, მექანიზმები, მასალები და სათადარიგო ნაწილები. ელექტროენერგეტიკულ მოწყობილობებზე, დანადგარების ცალკეულ დეტალებსა და მარტივ კვანძებზე წინასწარ განსაზღვრული დავალებების მიხედვით საკონტროლო–საზომი ხელსაწყოებისა და სამონტაჟო ინსტრუმენტების, ძირითად მეთოდებისა და მასალების გამოყენებით ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟისა და ექსპლუატაციის ტექნიკური მეთოდების და უნარების ფართო სპექტრით მანიპულირება,
- გამოავლინოს ელექტრომოწყობილობის უწესრიგობა, განახორციელოს მათი მსუბუქი რემონტი და რეგულირება.
- აკონტროლოს ელექტროენერგიის მიწოდება ელექტროფიცირებულ დამხმარე მექანიზმებსა და სისტემებზე;
- ელექტრომოწყობილობის კაბელების მონტაჟი, დემონტაჟი, გაყვანილობა და რემონტი. აკუმულატორების ბატარეის, გამშვები მარეგულირებელი აპარატურის და ელექტროგანათების ქსელის მომსახურების გაწევა;
- სხვადასხვა ელ.სქემების შედგენა/გარჩევა, ელხელსაწყოების, ინსტრუმენტების და სხვა ელ.მოწყობილობების გამოყენება, ელდანადგარების ექსპლუატაციის გაწევა კომპეტენციის ფარგლებში;
- საწარმოო ობიექტზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოებისა და ძირითადი ოპერაციების ჩატარება;
- შრომის დაცვის პირობების შესრულება;
- გარემოს დაბინძურების თავიდან აცილება და თავისი კომპეტენციების ფარგლებში სამუშაოს შესრულება გარემოს დაცვის მოთხოვნებიდან გამომდინარე;
- გამოიყენოს ყველა საშუალება სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად, მათ შორის: ისარგებლოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით; ისარგებლოს ინდივიდუალური სამაშველო საშუალებებით და სხვა;
- იმოქმედოს განგაშის სიგნალების შესაბამისად, შეძლოს პირველადი სამედიცინო დახმარება გაწევა;
- განგაშის სიგნალების გამოყენება გადარჩენისა და ძიების ოპერაციების დროს, მათ შორის: განგაშის მცდარი სიგნალების თავიდან აცილება. მოქმედებები მცდარი განგაშის სიგნალის გაშვების შემთხვევაში;

მარტივი ტექნიკური ამოცანების შესრულებას მიცემული დავალების შესაბამისად: საწარმოო ობიექტზე ელდანადგარების, მოწყობილობების, სისტემების ექსპლუატაციის გაწევა, გა-უმართაობების გამოვლენა და აღმოფხვრა, ტექნიკური მომსახურების და რემონტის ჩატარება კომპეტენციის ფარგლებში.

ნაწილი 2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსები
საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შპს "ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის" ბაზაზე, რომელიც მოიცავს:

- თანამედროვე ტექნიკით და შეუზრუდავი ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს და ლაბორატორიებს, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებს,
- კომპიუტერულ კლასებს,
- უცხო ენის ლაბორატორიას,
- ნავიგაციის კაბინეტს,
- მექანიკის კაბინეტს,
- სასწავლო-საწვრთნელ გემს "ელიტას",
- ტრენაჟორული მომზადების ცენტრს, რომელიც აღჭურვილია ცნობილი ინგლისური კომპანიის ,,ტრანზას-მარინის''-ს მიერ წარმოებული და ,,ტრანზას-ევრაზიის"-ს მიერ და-მონტაჟებული სიმულატორებით და სპეც-კაბინეტებით. საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის შესაბამისად გამოიყენება:
- ბიბლიოთეკას (წიგნადი ფონდი -18 426 ერთეული),
- უზრუნველყოფილია საერთაშორისო Witherbys Seamanship Library ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობ

სიმულატორები:

- Engine Room Simulator ERS 2000/3000 - სამანქანე განყოფილების სიმულატორი;
- Liquid Cargo Handling Simulator (LCHS 4000/5000) – სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვის სიმულატორი.
- Navi -Trainer RADAR/ARPA/ECDIS/Ship Handling Simulator Pro 3000 სანავიგაციო სიმულატორი;
- Navi -Trainer Pro 5000 / ECDIS Navi Sailor 4000 სანავიგაციო სიმულატორი;
- RADAR/ARPA Module Simulator - რადიოლოკაციური სადგურები, რადიოლოკაციური გავლება და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების სიმულატორი;
- Liquid Cargo Handling Simulator (LCHS 4000/5000) – სატვირთო და საბალასტო ოპერაციების მართვის სიმულატორი;
- Global Maritime Distress and Safety Systems (GMDSS) Simulator TGS 5000 - უბედურ შემთხვევებში კავშირგაბმულობის გლობალური საზღვაო სისტემის სიმულატორი;
- Use of electronic chart display and informational Systems - ელექტრონულ-კარტოგრაფიული მოწყობილობების და ინფორმაციული სისტემების გამოყენების სიმულატორები;
- Ship handling and maneuvering laboratory - გემის მართვისა და მანევრირების ლაბორატორია;
- Lifeboat Simulator - სამაშველო ნავის სიმულატორი;
- Fire-Fighting Training Facility - სანაპირო ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი.

კაბინეტები:

- Engine Team and Resource Management - სამანქანე განყოფილების გუნდურ მართვა/ პერსონალის მართვა კურსის კაბინეტი;
- Elementary First Aid – პირველადი სამედიცინო დახმარების კურსის კაბინეტი;
- Oil and Chemical Tanker - ნავთობ და ქიმმზიდ ტანკერზე მუშაოების უსაფრთხოების კურსის კაბინეტი;

- Fire prevention and Fire Fighting - ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლის კურსის კაბინეტი ;
- Personal Safety and social responsibilities - პირადი უსაფრთხოება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კურსის კაბინეტი;
- Personal Survival Techniques - პირადი გადარჩენის ტექნიკის კაბინეტი ;
- Tanker familiarization - ტანკერზე მუშაობის გაცნობითი კურსის კაბინეტი;
- ISPS Code -გემებისა და ნავსადგურების საშუალებების უსაფრთხოების კურსის კაბინეტი ;
- Dangerous goods - საშიში და მავნე ტვირთების გადაზიდვის კურსის კაბინეტი.
- Elementary First Aid – პირველადი სამედიცინო დახმარების კურსის კაბინეტი;
- Oil and Chemical Tanker - ნავთობ და ქიმზიდტანკერზე მუშაოების უსაფრთხოების კურსის კაბინეტი;
- Fire prevention and Fire Fighting - ხანძრის თავიდან აცილება და ხანძართან ბრძოლის კურსის კაბინეტი;
- Personal Safety and social responsibilities - პირადი უსაფრთხოება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის კურსის კაბინეტი;
- Personal Survival Techniques - პირადი გადარჩენის ტექნიკის კაბინეტი;
- Tanker familiarization - ტანკერზე მუშაობის გაცნობითი კურსის კაბინეტი;
- ISPS Code -გემებისა და ნავსადგურების საშუალებების უსაფრთხოების კურსის კაბინეტი;
- Dangerous goods - საშიში და მავნე ტვირთების გადაზიდვის კურსის კაბინეტი;
- Ship Handling Simulator and Bridge Team and Resource Management - გემის მართვისა და სანავიგაციო ხიდურის გუნდური მართვა/პერსონალის მართვის კურსის კაბინეტი;
- ECDIS - ელექტრონულ–კარტოგრაფიული მოწყობილობებისა და ინფორმაციული სისტემების გამოყენების კურსის კაბინეტი;
- Global Maritime Distress and Safety Systems (GMDSS) - უბედურ შემთხვევებში კავშირგაბმულობის გლობალური საზღვაო სისტემის კურსის კაბინეტი;
- RADAR Navigation, Radar Plotting, use of ARPA - რადიოლოკაციური სადგურები, რადიოლოკაციური გავლება და ავტომატური რადიოლოკაციური სისტემების გამოყენების კურსის კაბინეტი.

„გემბანის რიგითი მეზღვაურისა“ და „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ პრაქტიკებს პროფესიული სტუდენტები გადიან სასწავლო-საწვრთნელ გემ ”ელიტასა” და სხვა პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართულ პარტნიორ ორგანიზაციებთან, ხოლო „ელექტრიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრაქტიკას გემთსარემონტო საწარმო შპს “საზღვაო ტექსერვისში“.

ნაწილი 3. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში

პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა

1. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, როცა შეფასების პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე;

2. შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე:

ა. **ვალიდურობა** - განსაზღვრავს, შეფასების პროცედურით იზომება თუ არა ის, რისი შეფასებაც არის გამიზნული. შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება;

ბ. **სანდოობა** - შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით;

გ. **სამართლიანობა** - გულისხმობს იმას, რომ შეფასების პროცედურა არის კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი;

დ. **გამჭვირვალობა** - ნიშნავს იმას, რომ შესაფასებელი პირისათვის წინასწარ ცნობილია შეფასების შესახებ დეტალური მონაცემები, როგორიცაა შესაფასებელი კომპეტენციების სფეროები და ჩატარების დრო, დადასტურების პირობები, მოთხოვნები და სხვა.

პროფესიული სტუდენტის შეფასების სახეები

1. შეფასებისას გამოიყენება არადიფერენცირებული მიდგომა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგის სრულად დადასტურებას და ფასდება შემდეგნაირად: „სწავლის შედეგები დადასტურდა“ ან „სწავლის შედეგები არ დადასტურდა“;

2. სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის შეფასებისას, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება;

3. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მიზნით, ხოლო მიმდინარე და შუალედური შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება

1. განმავითარებელი შეფასება იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს მოდულების სწავლის შედეგების ათვისების ხარისხი და შემდგომი სწავლებისათვის არსებული პოტენციალი;

2. განმავითარებელი შეფასება ახდენს პროფესიული პროფესიულ სტუდენტის მოტივაციას და უზრუნველყოფს მაღალ ჩართულობას შემდგომ საგანმანათლებლო პროცესში;

3. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს ქულების ან არადიფერენცირებული სახით;

4. განმავითარებელი შეფასების დროს მიღებული შედეგი მხოლოდ განმავითარებელი ხასიათისაა და არ აისახება საბოლოო შეფასების შედეგზე;

5. განმავითარებელი შეფასებისას პროფესიული სტუდენტები ახორციელებენ საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ხარისხის მონიტორინგს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელი პირები მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მიიღებენ ჩატარებული საქმიანობის უკუკავშირს, რათა მომავალში გაითვალისწინონ და გააუმჯობესონ სწავლების მიდგომები. ასევე, განმავითარებელი შეფასების პროცესი იქნება ერთგვარი მომზადება განმსაზღვრელი შეფასებისათვის;

6. პროგრამის განმახორციელებელი პირი თავად განსაზღვრავს განმავითარებელი შეფასების პერიოდს, რაოდენობას და საჭიროების შემთხვევაში ქმნის შეფასების ინსტრუმენტებს.

შუალედური შეფასება

1. შუალედური შეფასება წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული სტუდენტებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთ-ერთ მექანიზმს;

2. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა პროფესიული სტუდენტისათვის სავალდებულოა;

3. შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის, ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის;

3[1]. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;

4. შუალედური შეფასება ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, როცა პროფესიულ სტუდენტს გავლილი აქვს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების არანაკლებ 40 და არაუმეტეს 60 პროცენტისა;

5. შუალედური შეფასების თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის დეპატრამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დეპატრამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით არაუგვიანეს შეფასების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;

6. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება საერთო შეხვედრაზე, ელექტრონული ფორმით ელ. ფოსტაზე წერილით დაგზავნის, ხოლო ინდივიდუალური კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პერსონალთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისათვის/თანახელმძღვანელისათვის მიმართვით, დეპატრამენტის ხელმძღვანელის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;

7. შუალედური შეფასების თემატიკა არ უნდა გასცდეს პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების ჩატარებამდე გავლილ სწავლის შედეგებს;

8. შუალედური შეფასება უნდა იძლეოდეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ჰოლისტური შეფასების შესაძლებლობას;

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

ა) თეორიული შეფასება;
ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
გ) პროექტის პრეზენტაცია;
დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი;
ე) სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია.

10. შუალედური შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით;

11. შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას დეპატრამენტის წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურის დაცვით. შუალედური შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებს შუალედური შეფასების კომისია;

12. პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება ლიცეუმში პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე;

13. შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება დეპატრამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით;

14. შუალედური შეფასების კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;

15. შუალედური შეფასების კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;

16. შუალედური შეფასების კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

17. შუალედური შეფასების კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

18. შუალედური შეფასების კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;

19. შუალედური შეფასების კომისიის სხდომაზე ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

20. შუალედური შეფასების კომისიის კომპეტენციაა შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ლიცეუმს მისცეს უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში

წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები;

21. შუალედური შეფასების კომისიის მიერ რეკომენდაციების შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთოს ლიცუმის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი;

22. შუალედური შეფასების კომისიის შეფასება და რეკომენდაციები აისახება შესაბამის ოქმში;

23. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდება უკუკავშირი წინამდებარე წესით განსაზღვრული პროცედურების დაცვით;

24. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, დეპატრამენტის შიდა მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, დეპატრამენტის კომპეტენციის ფარგლებში;

25. საპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიუღებლობა შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ამ მუხლით დადგენი პირობებითა და წესით მონაწილეობა მიიღოს განმეორებით შუალედურ შეფასებაში;

26. არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიუღებლობა, ან განმეორებით შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობა, შესაძლოა გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;

27. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს:

ა) ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, რაც შეუძლებელს ხდის ძირითად ვადებში შეფასების პროცესში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობას;
ბ) ფორსმაჟორული გარემოება;

განმეორებითი შეფასების ვადები განისაზღვრება დეპატრამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დეპატრამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით, ამ წესის წინამდებარე მუხლით დადგენილ ვადებსა და წესით.

განმსაზღვრელი შეფასება

1. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესრულებისა და შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად;

2. განმსაზღვრელი შეფასებისას გამოიყენება არადიფერენცირებული შეფასების მიდგომა და უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის ან სწავლის შედეგების საბოლოო შეფასებას;

3. განმსაზღვრელი შეფასებით დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი;

4. განმსაზღვრელი შეფასება არის კომპლექსური, შესაფასებელ პირს აძლევს შესაძლებლობას მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების არა ცალკეულად, არამედ ურთიერთკავშირში გამოიყენოს.

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა;

2. პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება;

3. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;

4. საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის დეპატრამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დეპატრამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით არაუგვიანეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;

5. სტუდენტის ინფორმირება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხდება სამუშაო შეხვედრაზე და ელ. ფოსტაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, დეპატრამენტის ხელმძღვანელის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.

საკვალიფიკაციო კომისია

1. საკვალიფიკაციო გამოცდას ატარებს საკვალიფიკაციო კომისია;

2. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება დეპატრამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით;

3. საკვალიფიკაციო კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;

4. საკვალიფიკაციო კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;

5. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში სავალდებულო წესით უნდა მონაწილეობდეს დარგის შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი, რომელიც არ არის დეპატრამენტის წარმომადგენელი;

6. საკვალიფიკაციო კომისიის კომპეტენციაა საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შედეგების საფუძველზე შუამდგომლობით მიმართოს დეპატრამენტის დირექტორს პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე;

28.7. საკვალიფიკაციო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

28.8. საკვალიფიკაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

28.9. საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;

28.10. საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობისას, კომისიის წევრთა ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

28.11. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;

28.12. საკვალიფიკაციო კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წერილობით დაურთოს ოქმს;

28.13. საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს დეპატრამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

მუხლი 29. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება

საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები უნდა ეცნობოს პროფესიულ სტუდენტს, გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით (ელ. ფოსტის საშუალებით).

საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების აპელაცია

1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები მისი გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს წერილობით, დეპატრამენტის ხელმძღვანელის სახელზე დაწერილი განცხადებით;

2. საჩივრის განხილვის მიზნით დეპატრამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს დეპატრამენტის პროფესიული განათლების მასწავლებელი (პირი, რომელიც არ მონაწილეობდა პროფესიული სტუდენტის სწავლები, შეფასების, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში) და დარგის სპეციალისტები, საწარმოს წარმომადგენელი;

3. სააპელაციო კომისია ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა;

4. სააპელაციო კომისიას იღებს შემდეგ გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთს:

ა) საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;

ბ) საკითხის საკვალიფიკაციო კომისიისათვის განსახილველად დაბრუნების შესახებ.

5. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

6. კვლიფიკაციის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება პროფესიული სტუდენტის სააპელაციო განაცხადის შემოტანიდან ერთი თვის ვადაში.

განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდა

1. საკვალიფიკაციო გამოცდაზე არგამოცხადების ან საკვალიფიკაციო/სააპელაციო კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროფეიული სტუდენტი უფლებამოსილია ამ მუხლით დადგენილი პირობებითა და წესით გავიდეს განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე;

2. პროფესიულ სტუდენტი ვალდებულია საკვალიფიკაციო გამოცდის გაცდენის შემთხვევაში განცხადებით მიმართოს დეპატრამენტის დირექტორს და წარადგინოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს გამოცდაზე არ გამოცხადების საპატიო მიზეზს, გამოცდიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში;

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციას განიხილავს ხელმძღვანელი და ბრძანებით განსაზღვრავს განმეორებითი საკვალიფიკაციო გამოცდის ადმინისტრირების საკითხებს.

საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები

1. საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შედეგების საფუძველზე, საკვალიფიკაციო კომისიის შუამდგომლობით, დეპატრამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პროფესიულს სტუდენტს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად ვადებში საკვალიფიკაციო გამოცდაზე/განმეორებით გამოცდაზე არგამოცხადების ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უჩერდება პროფესიული სტატუსი.

ნაწილი 4. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის სწავლების შესახებ

შპს ,,ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ სამივე კორპუსში არის ადაპტირებული გარემო. პროფესიულმა მასწავლებლებმა იციან სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების სწავლების მეთოდები.

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება შშმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მიმართოს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსს ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს;
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება შშმ და სსსმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით, დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროფესიული მასწავლებლების და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების. პროფესიული სტუდენტს შე-უძლია მონაწილეობის მიღება ინდივიდუალური განრიგის შემუშავების პროცესში.

4. შემუშავებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს ბსნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

5. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები შშმ და სსსმ პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია -მიენიჭებათ ამ დებულების მე-18 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

7. მეზღვაურის პროფესიაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება დაუშვებელია. სწავლება შესაძლებელია, მხოლოდ სპეციალური სამედიცინო შემოწმებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დადასტურების შემთხვევაში. (სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, Manila Amendments (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1; Table B-I/9-2; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელის 2014 წლის 26 თებერვლის ბრძანება №01 „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ).